საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1199 2019 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოქმედებითი საქართველოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – შემოქმედებითმა საქართველომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის აუცილებელი სამუშაოებისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, 2 570 980,00 ლარის ფარგლებში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 20 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**